წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ხუთშაბათი 28 ივლისი

# სამშობლო

№ 416

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ [illegible] სხვა ადგილიდან კავკასიის გარეშე [illegible] ბულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთათურ სპეციალისტ ექიმთა პირველ კერძო სამკურნალოს გამგეობა და მოსამსახურენი გულითადის მწუხარებით აცხადებენ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ აგარ. აბასთუმანში გარდაიცვალა წევრი და ერთი დამაარსებელთაგანი ხსენებულ საავადმყოფოსი ექიმი

**გალაკტიონ სტეფანეს ძე ნადირაძე,**

პანაშვიდი დანიშნულია 28 ამა ივლისს დილის 12 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიაში.

260 1—1

---

ქვრივი, კნ. ოლია ვარლამის ასული ერისთავისა, შვილები მისი: ვერა, მარიამ, გიორგი და დავით ალექსანდრეს ასულნი და ძენი ერისთავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველის საყვარელი მეუღლისას, ხოლო დანარჩენი ძვირფასი მამისას

**თავ. ალექსანდრე ნიკოს ძის ერისთავისას,**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, თბილისის ქუჩა, სახლი ბარათაშვილისა. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება.

2—261—1.

---

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 28 ივლისიდან ახალი პროგრამა

**უკუ მიმაგდო, გასთელა ვარდი.**

ძლიერი დრამა 3 ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ქრონიკა გომონი.** მიმდინარე ამბები.

უბინაო კაცი ორ აზროვანი ფარსი, 2 ნაწილად. საბუროვის თეატრის მსახიობთა ქ-ნ დუნაევის და ბ-ნ ვერნერის მონაწილ.

---

**იძლევა იჯარით** ჩემ მიერ იჯარით აღებული

საღორიის აგარაკზე **საეზოვო მიწა** ორასი კვად. საჟენი, აქვე გაშენებულია ასი ძირი კარგი ჯიშის ნაყოფიერი ვენახი. ეზო მაღალი ღობითაა შემოკავებული.

**პირობების გაგება შეიძლება პ. ფერაძის სტამბაში,**

---

**ექიმი** ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

---

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$— 2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

---

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

**აძლევს გაკვეთილებს**

**ფრანგულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში.

---

**დ. ლაილაში.**

**კბილის ექიმი**

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ზოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**" რედაქც.

---

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში. ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბორინის ქუჩა, სახლი დემიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

---

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

ელექტრო „ამპირ" თეატრი

28 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება:

**გაშლილ ადგილზე**

ოსტროვსკის კომედიის მიხედვით ქ-ნ ნილისენკოს, ორლოვის და ბ-ნ ბაკშეევის და პანოვის მონაწილეობით.

**ცნობილი სასიმო**

სახუმარო.

---

**გაზ. „სამშობლოს" რედაქცია და კანტორა გადავიდა იქვე ახლოს, თბილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახლებში ფოტოგრაფიის გვერდით.**

---

რედაქცია იწვევს გამოცდილ

**ქრონიკერს** (ახალი ამბების შემკრებს)

ბეჯითი მოამბე დაიმუშავებს თვეში 60—100 მანეთამდე და მეტსაც.

---

**იყიდება.**

**დაბა ხონში იყიდება სამოსახლო ადგილი**

სივრცით დაახლოვებით 1500 საჟენი. სემინარიის გვერდით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი, № 46.

256

---

სასწავლებლის დახურვის გამო

**იყიდება**

სასკოლო სკამები (პარტები), სკოლის სხვადასხვა მოწყობილებანი და

**საწერი მანქანა**

მსურველს ნახვა და პირობების გაგება შეუძლია თბილისის ქუჩაზე, გიორგი გურგენიძის სახლში.

---

**დღეს არ ვიცით რა მოსაზრებით დეპეშები თავის დროზე არ მოგვსვლია და ამიტომ ვერ ვბეჭდავთ ომის დღიურსა და ომის მიმოხილვას.**

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

— —

სტამბოლში მრავალი გერმანელთა წინააღმდეგ სიკვდილით დაუსჯიათ.

— —

ინგლისური პრესის ცნობით ამ მოკლე ხანში მოკავშირეები გამოაქვეყნებენ მომავალ პოლონეთის მართვა-გამგეობის პროექტს.

— —

გერმანელთა ცნობილი მხედართ უფროსი აღმოსავლეთის მთელ ასპარეზზე მომქმედ ჯარების მთავარ სარდლად დაუნიშნავთ. დანიშვნისთანავე ორი ავსტრიელი გენერალი გადაუყენებია პუხალლო და ერცჰერცოგი იოსებ ფერდინანდი.

— —

ბარანოვიჩის მიდამოებში დატყვევებულ გერმანელებს განუცხადებიათ, ჩვენ იმიტომ ვუფრთხილდებით ტყვია-წამალს, რომ ჩვენი ჯარი ახლო მომავალში დიდ ბრძოლებს ასტეხავსო.

— —

ნორვეგიაში პარაკლისებს იხდიან და ღმერთს შესთხოვენ, რათა მან მალე მშვიდობიანობა დაამყარეს ქვეყნად.

— —

გერმანიის მთავრობას უარი უთქვამს ინგლისისთვის, რომელსაც ჰსურდა პოლონეთისთვის ამერიკიდან პურის შემოტანა. გერმანელების აზრით ეს ეხლა საჭირო აღარ არის, ვინაიდგან მოსავალს კარგი პირი უჩანს.

— —

ჰინდენბურგის რუსეთის ასპარეზზე დანიშვნას დიდი აურ-ზაური გამოუწვევია მოკავშირეთა შორის.

— —

გერმანიის წყალ-ქვეშა ნავს ჩაუძირავს შვეციის სავაჭრო გემი „გუდიკოვალი".

— —

გერმანელებს დაუტყვევებიათ შვეციის ორი გემი „პატეა" და „ტემისი" და ჩაუძირავს „ბრორროსკარი" „ვენძლანდი" და ფინების „ჰერბრანე" და „სტეინი".

— —

ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩი აუწყებს თავის მთავრობას, რომ აგვისტოს პირველი რიცხვიდან გერმანიიდან სხვა და სხვა ქვეყნებში წასულა აკრძალული იქნება. გასვლის ნება მიეცემათ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

— —

იმპერატორი ვილჰელმი დასავლეთის ასპარეზზე გამგზავრებულა.

— —

გენრი დიუკას ირლანდიის მართველად დანიშვნას ირლანდიის ნაციონალისტები დიდი სიამით შეხვდენ, რადგანაც გენრი დიუკა ნაციონალისტების მიმართულებას იზიარებს.

— —

ოსმალეთში ხოლერა გაჩენილა, მის მოსასპობად ზომებია მიღებული.

— —

სპარსეთში ოსმალეთის მოწინააღმდეგეთა რიცხვი თან და თან იზრდება.

— —

გერმანელებს რუსეთის საზღვრებზე ახალი ლი ჯარი გადმოუყვანიათ. მდ. სტირის მიდამოებში ატეხილ ბრძოლას ისინი დიდი ყურადღებით ეკიდებიან. ავსტრო-უნგრეთებსა და გერმანელებს ახლა სულ 76 დივიზია ჰყავთ რუსეთისა და იტალიის ასპარეზზე.

— —

გერმანიაში სოციალ დემოკრატებს ყრილობის ნება არ მისცეს, ყრილობაზე სხვათა შორის ჰომანი ომის შესახებ მოხსენების წაკითხვას აპირებდა.

— —

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რუმინიის კაბინეტში დიდი ცვლილებანია მოსალოდნელიო როგორც ჰფიქრობენ ბრატიანო სამსახურს თავს დაანებებს და ტიტუმაიორესკის პეტრე კარპისა და მარგილომანის კაბინეტი შესდგება. ეს კაბინეტი მიზნად დაისახავს ნეიტრალიტეტის დაცვას.

— —

სუსის ინვალიდთა ტრანსპორტში, რომელიც ტრელებორგთან გამოატარეს 223 ჯარის-კაცი იყო.

— —

პროფესორი ჩერმინი კრიტიკის ქარბრძმედში ატარებს დანიის დემონსტრაციას ომის წინააღმდეგ. ეს მას ახლდა უადგილოდ მიაჩნია, ვინაიდგან საკითხი მეტად გამწვავდა და ერთ-ერთმა მხარემ უსათუოდ უნდა გაიმარჯვოს.

— —

ნიჟნი-ნოვგოროდის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით მომავალ-წლის პირველ იანვრამდის აღკძალულია ამ გუბერნიიდან სხვაგან მსხვილ-ფეხა პირუტყვთა გაყვანა და ხორცის გატანა.

— —

საზღვარ-გარეთიდან უკან დაბრუნდა ფინანსთა მინისტრი პ. ლ. ბარკი და მალე ახალი სამხედრო სესხის საკითხიც გადასწყდება. სესხი აიღება ძველ პირობებში ე. ი $5\,^1/_2\,^0/_0$ 1-სესხის რაოდენობა ჯერ არ არის გამორკვეული, ყოველ შემთხვევაში 2 მილიარდ მანეთზე ნაკლები არ იქმნება.

— —

რადგანაც გადასწყდა 1 და მე-2-რე ხარისხის მოლაშქრეთა ჯარში გაწვევის საკითხი მათი რკინის გზის სამსახურში მიღება აღკრძალულია.

——

დუნაის ნაპირზე ოსმალების მრავალი ჯარი მოსულა და ბულგარებთან ერთად ამ მდინარის ნაპირებს ამაგრებენ.

——

პარიზიდან იტყობინებიან, რომ სირიამში და ირაქში არაბები მექქის შერიფის ჯარს უერთდებიან. შერიფს ემხრობიან აგრეთვე ოსმალთა ჯარის აფიცრები.

——

ბულგარეთი მუქარას უთვლის რუმინიას თუ უკანასკნელი ბულგარეთის მიწაწყალზე თარეშს გაჰბედავს.

გერმანელებსა და ავსტრია უნგრელებს რუმინეთის საზღვარი კარგად გაუმაგრებიათ, თუმცა საეჭვოთ მიაჩნიათ რუმინეთისაგან ნეიტრალიტეტის დარღვევა.

## ვის მივანდოთ

### ქუთაისის საკომერციო სასწავლებელი?

(კერძო აზრი).

(დასასრული, იხ. „სამშ № 414 და 415)

ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, თუ სიტყვა ცოტა გაგვიგრძელდა.

ჩვენი მიზანი იყო ოდნავ მაინც გაეთვალისწინებინათ ჩვენი მოზარდი თაობის დედ-მამას დღევანდელი მდგომარეობა ჩვენში არსებულ სასწავლებლებისა და შემდეგისთვის მაინც მოეთხოვნათ უკეთესის პირობების დამყარება...

საზოგადოდ ჩვენი ხალხი გადაჭარბებულის გულ-უბრყვილობითა თუ ზედმეტ ნდობით ეკიდება სწავლების საქმეს ჩვენში.

რა კი შვილს ამა თუ იმ სასწავლებელში მიაბარებს, ასე ჰგონია საქმე უკვე გაკეთებულიაო და არხეინად უცდის შვილისაგან „კურსის“ დამთავრებას, ის კი ავიწყდება, თუ რამდენი ტანჯვა და წვალება უნდა მის შვილს, ვიდრე უცხო ენაზე სწავლის ჰანგს აუღებდეს და სათანადო კალაპოტში ჩავარდებოდეს.

ვინ არ იცის, რომ ჩვენს ოჯახსა და სკოლას შორის დიდი უფსკრულია, ქართველი ხალხის ისტორიულ დანიშნულებასა და უცხო სასწავლებელთა შორის გაუვალი კედელია აღმართული...

საქართველოს სჭირია მშობლიურ ნიადაგზე მომზადებული ახალგაზდობა, რომ ამ ახალგაზდობამ იცოდეს თავის ქვეყნის წარსული და აწმყო, იცნობდეს მის სიმდიდრეს, იცოდეს ამ სიმდიდრის მოვლა პატრონობა, იყოს შეგნებული მამულიშვილი, განვითარებული მოქალაქე და ღირსეული ადამიანი.

მთავრობის სასწავლებლები კი სულ სხვა მიზანს ისახავენ;

მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე ყოფნა დაფუძნებულია უმფროს-უნცროსობაზე, ძალა და კაპიტალი, შენ ჩემობა და უფლება მოსილება ერთი რომელიმე ერისა და კლასისა ამყარებს წესს დღევანდელის ცხოვრებისას და ყველა ჩვენთაგანი ვალდებულია დაემორჩილოს ამ წესს, რაც უნდა არ მოსწონდეს იგი.

აქედან კი გამომდინარეობს ერთგვარი დაჩაგვრა პიროვნებისა, მისი თაოსნობისა, მისი სულის კვეთებისა, ადამიანური მისწრაფებისა.

ჩვენა გვგონია, რომ მხოლოდ ის საზოგადოება, ის სკოლა, ის მასწავლებელი, ის დედმამაა ღირსეული, რომელიც თავის შვილს არ დაუხშობს ბუნებრივ ნიჭს, ანგარიშს გაუწევს შვილის სულიერ თვისებათ და დააყენებს ისეთ გზაზე, რომ ცხოვრებაში იგი ყურმოჭრილი მცონარე ყმა კი არ იყოს, არამედ შეეძლოს მას თავისი-თუნდა მცირე წვლილის — შეტანა დუხჭირ ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

პირველ ყოვლისა მოზარდი უნდა გრძნობდეს თავის თავს ადამიანად და უნდა სწავლობდეს იმიტომ კი არა, რომ „დიპლომი“ მიიღოს და „მუნდირი“ ჩაიცვას; არამედ უნდა ესმოდეს, რომ ყოველი ცოდნა, ყოველი სწავლა მხოლოდ იარაღია განკაცებისა და უკეთესის მომავალის შექმნისათვის.

თუ ამ თვალით შევხედავთ ჩვენი შვილების აღზრდის საქმეს დღეს, დავინახავთ რომ ჩვენი სკოლები არაფერ ამისთანას არ ემსახურებიან, და თუ ვსწავლობთ რამესა და ან ვასწავლით ვისმე, ამას ჩავდივართ მარტო იმიტომ, რომ შევიძინოთ გარეგანი ბრწყინვალება და დავახშოთ სული თავისუფალი!...

დღევანდელი პირობები ნებას არ გვაძლევს სავსებითა და ზედმიწევნით ავხსნათ და დავასაბუთოთ ჩვენი ნათქვამი, მაგრამ ყველა შესმენილი მკითხველი თავის გუნებაში მაინც დაგვეთანხმება, რომ დღევანდელი ჩვენი „ნასწავლები“, რაც უფრო მაღალ საფეხურზე სდგანან, მით უფრო გაურბიან შრომას, ხალხს, ცხოვრებას და გადმომდგარან-რა უზრუნველობისა და ფუფუნების კვარცხლბეკზე, ყველა და ყველაფერი თავის პირად ბედნიერების საფეხურებად მიაჩნიათ!

რასაკვირველია, არამც თუ ჩვენი სუსტი სიტყვა და უკიდურესი ჩვენი კერძო აზრი უცბად ვერ გამოსცვლის და ვერ შეარყევს არსებულ წესს ცხოვრებისას, არამედ იგი ვერ გამოსცვალა და ვერ შეარყია იესოს ქადაგებამაც კი — ვინაიდგან საუკუნოებით შექმნილი ზნე-ჩვეულება მხოლოდ საუკუნოებითვე ინგრევა, — მაგრამ თუ თითოული ჩვენგანი მეათსედაც მაინც გაითვალისწინებს თავისს მოვალეობას მოძმისადმი, ცოტა ოდენი გაუმჯობესებაც კი სწავლა აღზრდის საქმისა და ბავშის, მოწაფის, ბუნებრივად გაწრთვნისა, დიდისა და დაუფასებელ სარგებლობას მოუტანს ქვეყანასა და ხალხს

ამიტომ, ჩვენის აზრით, მიუხედავად ყოველგვარ ცირკულიარებისა, ბრძანებებისა, (приказы) მიწერ-მოწერისა და ფორმალიზმისა, გამგე ამა თუ იმ სასწავლებლისა პირველ ყოვლისა უნდა იყოს იმ ერის შვილი, რომელი ხალხის შვილებიც სწავლობენ ამა თუ იმ სკოლაში.

ქუთაისის საკომერციო სკოლაში დიდი უმრავლესობა ქართველი ბავშვებია, მაშა სადამე დირექტორი ამ სკოლისა უნდა იყოს ქართველი.

მაგრამ ქართველიც არის და ქართველიც! ჩვენში ბევრია გადაგვარებული ქართველი, და ასეთ ქართველის უფროსობას უცხოს უფროსობა სჯობია!

ქუთ. საკომერციო სკოლის გამგე უნდა იყოს ქართველი სულით, გულით, ოჯახობით, შვილებიანად.

უნდა სწამდეს მას საქართველოს მომავალი და მზად იყოს თავი გასწიროს თავის ქვეყნისათვის.

ქ. კომ. სასწავლებლის დირექტორი უნდა იყოს ხალხის შვილი, დაჩაგრული ხალხის წიაღიდან გამოსული, განათლებული ევროპიულად, მცოდნე უცხო ენებისა, მჭევრმეტყველი, პირდაპირი, „მაღალი, უხვი, მდაბალი“ და თუ გნებავთ „ლაშქარ მრავალიც“ ვინაიდგან თუ იგი ხალხის შვილი იქნება, თვით ხალხი გამოადგება მას „ლაშქრად“.

ქუთაისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი უნდა იყოს მტკიცე ხასიათის კაცი. არ უყვარდეს ენა-ტანიაობა, არ სწამდეს ჯგუფობანა, არ არჩევდეს ჩინოსანსა და უჩინოს, თავადსა და აზნაურს, ვაჭარსა და ნოქარს, მუშასა და გლეხს, ის უნდა აფასებდეს მხოლოდ ნიჭსა და შრომას

ქუთაისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი არ უნდა იყოს პატივმოყვარე, შემპარავი, მლიქვნელი, მეწვრილმანე.

მისი პატივი და დიდება უნდა იყოს თვით სკოლა, მისი ზრუნვა უნდა იყოს ჩვენი შვილების აღზრდა, მისი სიცოცხლე უნდა შესდგებოდეს ბავშვების სიცოცხლიდან და მისი ვაჟკაცობა ამ სასწავლებელში-გამოზდილ მომავალ მოღვაწეთა შარავანდედისაგან.

ქუთაისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი უნდა იყოს სამართლიანი, ვით ღვთაება და შეუპოვარი, ვით იუპიტერი! მოხელეობისა არა ეცხოს-რა და კაი-კაცობისა არა აკლდეს რა, ის უნდა იყოს მამა მოწაფეებისა, ძმა და მეგობარი მასწავლებლებისა, უებრო ხელმძღვანელი მოზარდთა გონება-ზნეობრივ ამაღლებისა: მან უნდა შთაბეროს სული ძლიერი ნიჭიერებს, გაამხნევოს დავრდომილნი, ფეხზე დააყენოს დაჩაგრულნი, გააბეჯითოს ზარმაცნი, სიღარიბე და დამცირება არ აგრძნობინოს ხელ — მოკლეთ, უპატრონოს ობოლთ, შეიწყალოს ქვრივ — ოხერი და დასთესოს სასწავლებელში სული ერთობისა, ადამიანობისა და კაცურ კაცობისა.

მაშინ დაინახავთ თქვენ როგორ აყვავდეს სასწავლებელი, მაშინ დაინახავთ თქვენ რაცა ყოფილა ქართველი ბავშვი, რა ნიჭიერიც ყოფილა ქართველი ხალხი!..

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ზოგიერთ მკითხველს პირზე ღიმილი მოსდის და ზოგიერთი ჩვენებური „მეპრესე“ უკვე კალამს ხელში ატრიალებს, რომ საქვეყნოდ სულელი დაგვიძახოს, ვინაიდგან, — მაპატიონ კი — როგორც ზოგიერთი მკითხველი, ისე „გამპრესებელი“ კალმოსნები მხოლოდ იმიტომ არიან გაჩენილნი, რომ თავისზე უკეთესი ვერ დაინახონ და სხვის დამცირებით თავისი თავი „გამოაჩინონ“...

ჩვენი ქვეყნის ნამდვილი გულშემატკივარი მკითხველი და ხალხის მესაიდუმლე კალმოსანი დამეთანხმება რომ ჩვენ უკვე ვვყავდა ჩვენ მიერ დახატული ტიპის გამგე სკოლისა, მაგალითად, შიო ჩიტაძე. ჩვენ, ქართველებს, შეუძლებელია რომ კიდევ არ მოგვეპოვებოდეს ასეთი კაცები, მაგრამ ვაი ის არის, რომ ასეთი ადამიანები ჩრდილში დგანან და ფილტვით წინ ის წამოვარდება ხოლმე, ვისაც მეტი „ნათელ — მირონი“ ჰყავს და ჯიბეც სქელი აქვს.

ესეც ერთი უკეთ[illegible] რის ცხოვრებისა!

მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული პრესა.

რუსეთის უმაღლესს მთავრობას გადაუწყვეტია ახლავე შეუდგეს გამგებლობას, იმ ადგილ-მამულებისას, რომელიც სახელოვანმა კავკასიის ჯარმა ოსმალეთს წაართვა; ამის გამო გაზეთი „საქართველო“ სწერს:

გაზეთებში ცნობა იყო რომ რუსეთის მთავრობა სამოქალაქო მართვა-გამგებლობას აწესებს ოსმალეთის იმ ნაწილში, რომელიც დღეს რუსის ჯარს უჭირავს. ამ ჟამად თბილისში მუშაობაც სწარმოებს მოსამსახურეთა შტატის შესადგენად. ოსმალეთის ამ დაპყრობილი ადგილების გენერალ-გუბერნატორის რეზინდენციად თბილისია დანიშნული.

აქაც ისე, როგორც გალიციაში იყო, მთავრობა ეშურება სამოქალაქო მართვა-გამგებლობის შემოღებას.

ეტყობა სახელმწიფოს უზენაესი ინტერესი მოითხოვს ამას რუსეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება დიდი საზოგადო ყურადღების ღირსია.

ეჭვი არ გვაქვს რომ მთავრობა სავსებით გამოიყენებს გალიციაში მიღებულ გამოცდილებას და თავიდან აიცდენს იმ შეცდომებს, რომელიც მას მოუვიდა გალიციაში სამოქალაქო მართვა-გამგეობის შემოღების დროს. საჭიროა მეთოდით და ტემპერამენტით მისვლა იმ ხალხებთან, რომელნიც პირველად გაეცნობიან რუსების მართვა-გამგეობის ხასიათს და წესებს. ამისთვის კიდევ ადგილობრივი პირობების სერიოზული ცოდნაა საჭირო. მთავრობა სრულიად კანონიერად ჩასთვლის, თუ მას ამ რთულ საქმეში პრესა და საზოგადოება მიეშველება და მიაწვდის საყურადღებო მასალას.

პირველი და უაღრესი მნიშვნელობის ფაქტი ის გახლავთ, რომ დღეს დღეობით დაპყრობილ ადგილების ფარგალში მოქცეულია ერთმანეთისაგან ძირიანად განსხვავებული რამოდენიმე ეთნოგრაფიული ერთეული არაოსმალური მოდგმისა; თითოეულ

## ღამის ფიქრები.

1.

ვერ ავიტანე მძიმე ნაღველი, ველარ გავუძელ მე სიმწუხარეს,
და ტანჯულ სულის დასამშვიდებლად შემოვეკედლე ბაგრატ! შენს მხარეს
იმ მხარეს, სადაც წინად, ოდესღაც, შენ ჰმართველობდი კოლხეთის მდევებს,
ხოლო სადაც დღეს მწარედ დასტირის რიონი შენი ტაძრის ნანგრევებს...

2.

...მზემ შთამავალმა ვარდის ფერ შუქით უხვად შეჰღება ღრუბელთა ფარა
აი წუთიც და .. უკანასკნელი ობოლი სხივიც თვალთ მიეფარა.
გამოელვიძა ღამის შავ ღმერთსა, მსოფლიოს ფრთები გადააფარა,
ძველად განოქმული შენი ქალაქი ბინდმა მოიცვა.. ბნელმა დაჰფარა,
გულში ნაღველი გამიორკეცდა სიკვდილის შიში შემომეპარა
მაგრამ, უეცრად, ზეცამ სანთლებად ვარსკვლავთა ხომლი აალამპარა;
აალამპარა ირმის ნახტომი, შუქურ-ვარსკვლავი, თვით ორიონი
და ანარეკლზე რაღაც უცნაურ თეთრ-ზოლს ემსგავსა მყისვე რიონი...

3.

ვით სამსხვერპლოსთან მუხლთ მოვიყარე. არ ვიცი კი რად, არც ის — ვის წინა
და მოგონების ოქროს ფიქრებმა სული სხვა მხარეს გადააფრინა...
ეჰ ვინ იცოდა, როცა სამშობლო შენ ღირსეულ შვილს გაგვირგვინებდა,
დროთა მსვლელობის ჯადო-ფერხულში, შენ შემდგომ ერი იქვითინებდა,
ბედის ვარსკვლავი მშობლიურ ცაში ძველი ხარისხით არ იბრწყინებდა
და მზიურ ქვეყნის ამაყი შვილი მტრის ნანინას ქვეშ დაიძინებოა?...

4.

აგრატ!, ო, ბაგრატ! ნუ თუ ვერას დროს... ო, ბაგრატ! რად ვარ სავსე დარდებით?
ან რად მომესმის, ხმა უცნაური: „გადაგვარდებით, გადაგვარდებით“.
ბაგრატ! ო, ბაგრატ! ჩვენს შავბნელ-ცაზე რწმენა ვარსკვლავად ააკამკა-ე,
და შენ ტაძრის წინ, ეჰ წინაპარო, მე, შთამომავალს მითხარი რამე...
ცის ლურჯ ეტრატზე სანთლებად იწვის შუქურ-ვარსკვლავი და ორიონი
ჩემი ქვითინით გულს ანაღვლებს და გრძნობას შხამით სწამლავს რიონი.
სულს მოემატა ახალი ტანჯვა. სევდა გაღიდდა, გაღიქცა ზღვადა,
ო, წინაპარო, მადლით მოსილო! გამომეცხადე, სადა ხარ, სადა?

გ. მეგრელიშვილი.

## ზარს ჩამოჰკრეს!

მთელი დღე დავხეტიალებდი თბილისის ქუჩებზე და ვეძიებდი სამშობლოს ჩემსას.

გული მიკვდებოდა მე, ახალგაზდას, რომ ქართველ გმირების ძვლებით მოკენჭილი და მათი წმინდა სისხლით ნაღები მიწები დღეს უცხოდ გამოიყურებოდა.

თბილისის, ამ საქართველოს გულის, ამ ივერიის მარგალიტის ნახვამ მთელი საქართველოს ისტორია თვალწინ დამიყენა, მისი წარსული და აწმყო ვით სურათზე გადაღებული თვალებში ჩამესო.

მთელი დღე ამ რიგათ დავდიოდი ქუჩიდან ქუჩაზე, მე მინდოდა, მე მწყუროდა, ჩემი თვალებით მეხილა და დავკვირვებოდი იმ ქალაქის, იმ მიდამოს მაჯისცემას, რომელსაც ჩვენი გოლიათები სისხლით რწყავდენ, ძვლებით კენჭავდენ. რომელსაც ერთ დროს საქართველოს დედა ქალაქს უწოდებდენ და რომლის ძლიერება ბევრს და ბევრს უფრთხობდა ძილსა. მაგრამ დღეს კი.. ვაჰ მე... საკმაოთ გაიჭვარტლა ჩემი გული ყოველივე ხილულით, თვალები კიდევ ცრემლებით აივსო და საღამოს ჟამს ძლიერ დაღლილი და დაქანცული სახლისაკენ გავემართე.

კვლავ ფიქრები სამშობლო მხარეზე, კვლავ სევდა გამოწვეული მისი წარსულით და მომავალით.

თვალწინ მწარე სინამდვილე მედგა, და ვწუხდი, და ვგოდებდი, მე ახალგაზდას სამშობლო არა მქონდა.

ამ ფიქრებში ჩამეძინა და ვნახე სიზმარი. ვნახე საქართველო. ვიხილე ჩემი სამშობლო შავი ზღვიდან დაწყებული ვიდრე კასპიის ზღვამდე. მაგრამ რა მოხდა, რა იყო, მკვდრის ფერი დასდებია. ძაძით შემოსილა. სამგლოვიარო დროშებით მოურთავთ, ბუნებაც თითქოს სტირის, ყოველივე რაღაც ბურუსში გახვეულა. ირგვლივ სიჩუმე, არვის ვხედავ, არარა მესმის, ყოველივე მიყუჩებულა. მარტოთ მარტო ვარ ვით ობოლი, და გაოცებული შევყურებ ნისლით დაბურულ ცას, რა იქნენ ჰირისუფალნი, სად გაქრენ პატრონნი ამა ქვეყნისა? წამოვიწიე, მინდა ქუჩებისაკენ გავემართო, რომ უცებ დაირღვა ჩიჩუმე

ჩამოჰკრეს ზარს. მაგრამ ვაჰმე, გლოვის ზარი. განცვიფრებული არე-მარეს მოვავლე თვალი. მეორედ გლოვის ზარი, არა, რაღაც მოხდა, რაღაც ამბავია ჩემს თავს. მოდი დავეშვები ქვევით, გავიგო მაინც რა მოხდა. მესამედ გლოვის ზარი. და საოცარი სიბნელე. მხოლოდ ერთ მხარეს დასავლეთისაკენ მოსჩანს ხალხი, ზღვა ხალხი; მოდი აქ დაუცდი. თანდათან ახლოვდებიან. შავათ მოსჩანს ყოველივე. აჰა, მოახლოვდენ. ის რა ფრიალებს ჰაერში? დროშა, დროშა, კი მაგრამ რათ მოურთავთ თალხით? წარწერა, წარწერა მოსჩანს დროშაზე. „ღვთის მშობლისხვედრი საქრისტიანო“. ღმერთო ჩემო, ამ ქალებს რათ დაუკაწრავთ სახე, რათ მორთულან ძაძებით? ღმერთო, ყველა შავებშია. ვაჰმე, ამას რას მოვესწარ, საქართველო, საქართველო, დიახ, დიახ, კარგათ ვხედავ საქართველო-მწარე სინამდვილე. არავინ ხმას არ იღებს. აგერ ფეხშიშველი, ჩაბალახ მოხდილი პატარა ბალღი. ძამიკო, შეჩერდი, რა მოხდა, რას ნიშნავს ყოველივე ესა?, — განა არ იცი, რაცა გვჭირს“. ესა სთქვა და გამეცალა.

ყელში სისხლი მომებჯინა. ცნობის მოყვარეობამ წამძლია მინდა კითხვათ გადავიქცე, მთელ ერს შევძახო, რა მოხდა, რა ამბავია, რომ გაისმა ვით გრგვინვა მეხისა „მოასვენებენ, მოასვენებენო,“ არა, ეხლა კი ველარ გამიძლო გულმა, და ხმა მაღლა შევყვირე; ხალხნო, მამცნეთ მე, ახალგაზდას რა მოხდა, რა ამბავია, ვის მოასვენებენ, ვისა? „ივერიას“. მუხლთ ჩამეკეცა. აზრი მეკარგება, თვალთ მიბნელდება. არა, ეს ტყუილია. ეს სიცრუეა, არა, ძმებო, ვის, ვის მოასვენებენ, ვის დასტირის ერი! „სამშობლოს“. და სამგლოვიარო ზართა გუგუნმა ყოველივე დაფარა. ჩრდილოსკენ, ერთ-ერთ ხეობის თავში, მაღლობზე თვალი მოვკარ საზარელს, საშინელ სახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათგანს შეუნახავს თვისი ეროვნული სულის თავისებურობა და ზრახვა, მართალია ვის უფრო ძლიერად და ვის უფრო სუსტად. ზოგ მათგანს ორგანიულ ეროვნული კავშირი აქვს კავკასიაში მომკვიდრე ამა თუ იმ ერთან. ჩვენ სახეში გვყავს ქართველი მაჰმადიანები—ლაზები, სომხები და ქურთები. მომავალმა სამოქალაქო მართვა-გამგებლობამ ამას ანგარიში უნდა გაუწიოს და არამც და არამც არ უნდა ინებოს ამათი ერთმანეთში გათქვეფა.

მთავრობა უნდა შეეცადოს რომ თითოეულ ამ შემოერთებულ ხალხთან თავისუფლად მიდიოდეს და საქმეს იჭერდეს მის ეროვნულ-ორგანიულად მონათესავე კავკასიის დღევანდელი მომკვიდრე ერი, რომელსაც რუსეთის მართვა გამგებლობის ხასიათი შეთვისებული და განცდილი აქვს. თითოეული მათგანის „მოშინაურება“ რამოდენიმედ მაინც მის მოძმე რუსეთის ქვეშევრდომ ერს უნდა მიენდოს.

ზოგ-ზოგისთვის ეს ძალიან ადვილიც იქნება. მაგალითად, ლაზებს კომერციულ ნიადაგზე ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ საქართველოსთან. მრავალი ლაზი ვაჭრობდა და ვაჭრობს ანაკლიაში, ოჩემჩირეში და სხვა შავ ზღვის პირა დაბა-ქალაქებში.

ომის წინა დროს საქართველოში ღიდძალი ლაზობა ხუროებადაც ჩამოდიოდა.

ამგვარად ის ეროვნულ-კულტურული ნათესაობა და სიმპატიები და ის კომერციული ურთიერთობაც რომელიც ლაზებსა და სხვა ქართველებ შორის არსებობს, წარმოადგენს მკვიდრ და საიმედო ნიადაგს, რომლის გამოყენება მთავრობას შეეძლება მახლობელ მიზნებისათვის. ამგვარად, ჩვენის აზრით, ტრაპიზონის ვილაეთის ერთ ნაწილს, ბაიბურთის სანჯაყს და თორთუმ-კისკიმის რაიონს, სადაც ლაზები მოსახლეობენ, ერთი ორიენტაცია უნდა მიეცეს და ქართველების საშუალებით უნდა მოევლოს.

საჭიროა აგრეთვე მოსამსახურეთა შტატის შედგენისა და ადგილობრივად მოხელეთა განწესების დროს დაცული იქმნას ერთგვარი ეროვნული შერჩევა. ამ მოსაზრებათა საფუძვლიანობას ცხადს ჰყოფს წარსულის მაგალითი, ხოლო ამ მაგალითს გამოყენება უნდა.

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

გუშინ, მეფის ნაცვლის სახელწოდების დღეს საკათედრო ტაძარში ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა გიორგიმ გადაიხა და წირვა და პარაკლისი.

შემდეგ თვალებზე ხელი აიფარა, და ის იყო მოემზადა გასაქცევათ, რომ ელვის სისწრაფით განათდა მთელი მხარე, და მთა წმინდაზე გამოჩნდა სამი მოხუცი. სამივეს მაღლა აეპყრათ ხელები და ხალხისაკენ მოეპყრათ თვალი. ერთმა მათგანმა ხმა მაღლა გადმოსძახა ხალხს: „ქართველებო! გონს მოდით, ვის მიასვენებთ, არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებსო“. მეორემ მუხლთ მოიყარა და „ღმერთო, შენ უწყიო“ ამოიკვნესა. მესამემ კი: „საქართველოვ, ნუ სტირი და ნუ ჰგოდებ, თუ აწმყო არ გწყალობს, მომავალი შენიაო“, ესა სთქვა და სამივე გაჰქრა.

ამ დროს ზარს ჩამოჰკრეს. ზარი სამხიარულო, ზარი ზეიმის, ზარი გამარჯვებისა. და მეც გამომეღვიძა. მიმოვიხედე და ისევ მწარე სინამდვილე; საჩქაროთ ტანთ ჩავიცვი, პირი დავიბანე, ღვთის მშობლის ხატის წინ დავიჩოქე:

ჩემო სამშობლოო!

თუ რომ ბედით გიწერია
კვლავ აღდგენა, კვლავ დიდება,
შემიწირე გვედრი მსხვერპლად,
შენთვის არრა დამშურდება!

**ილ. ელენტი.**

✦ გ ზდანოვიჩის ავადმყოფობა გუშინ წინ დილის ხუთ საათამდე ავათმყოფს უკეთესობა ეტყობოდა. 6 საათზე კვლავ ავარდნია გულის ძგერა და ავათმყოფს უარესობა დასტყობია. ექიმებს შიში აქვთ დამბლა არ განუმეოროს.(მ)

✦ კვირას 24 ივლისს ღ. ხრესილში წარმოადგინეს „დედის ერთა“ და „უბედური დღე“ ვ. ბალანჩივაძისა. ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ როგორც გვატყობინებენ, ხარკოვის საკატორღო ციხეში გარდაიცვალა პოლიტიკური ტუსაღი მიხ. ელენტი.

✦ შაბათს, 30 ივლისს ღ. ბაღდადში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ამავე დაბაში სახალხო სახლის ასაშენებელი ფონდის „გასაძლიერებლათ. თუ ცუდი ტაროსი იქნა სეირნობა გადაიდება 7 აგვისტოსთვის. სეირნობა დაიწყება საღამოს 5 საათზე.

✦ ოსმალეთის ასპარეზზე დასჭრეს და პოდპორუჩიკის ჩინით დააჯილდოვეს სახალხო მასწავლებლად ნამყოფი ალექსანდრე ვასილისძე გორგაძე.

✦ ოსმალეთის ომში მოკლულ პოდპორუჩიკ იოსებ რიჟამაძის მშობლებს უკვე ჩააბარეს წმ. ვლადიმერის ჯვარი, რომლითაც განსვენებული იყო დაჯილდოებული.

✦ ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ თანახმად თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის ბრძანებისა, ყოველივე წერილები, დეპეშები, თუ ამანათი მომქმედ ჯარში გასაგზავნი, მისამართებში შეიძლება მოხსენებულ იქნას მხოლოდ შემდეგი:

1) „მომქმედ ჯარში“ 2) სამხედრო ნაწილის სახელი, სადაც მსახურობს ადრესატი, (პოლკი, გოსპიტალი, შტაბი და სხვა) 3) სახელი, მამის სახელი და გვარი ადრესატისა.

მისამართში მოთავსება ადგილის, სადაც დაბანაკებულია ჯარი და სხვ. (დივიზია, კორპუსი, არმია) სასტიკად აღკრძალულია.

### ს ო ფ ლ ა დ.

20 ივლისს, სოფელ ღვარდიაში, (ლეჩხუმის მაზრა) ადგილობრივ მცხოვრებ გლეხს თომა ვაწაძეს მიჰყავდა დატვირთული ურემი სასოფლო კლდიან გზაზე, გზის სივიწროვის გამო გლეხი ურემს კლდისკენ მოუდგა, რომ ურემი არ გადავარდნოდა, მაგრამ ურემი ვერ შეაკავა, მოცურებული ურემი თავზე დაეცა, თავი გაუხეთქა და სასიკვდილოდ დაამტვრია. დატვირთული ურემი დაგორდა და სრულებით დაამტვრია.

საჭიროა გზის შეკეთება, რადგანაც ესეთი შემთხვევა პირველი არ არის.

### ჩვენი ფოსტა.

**თბილისი.** მასწავლებელ გ. ვერულაშვილს პასუხი იხილეთ „სამშობლო“ № 415.

### თ ბ ი ლ ი ს ი.

როგორც თბ. გუბერნატორის მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, პურისა და საზოგადოდ მინდვრის მოსავალი თბ. გუბერნიაში გვარიანია.

— 25 მკათათვეს ქალაქის მოურავის მოადგილის თ-დ ი. მ. არღუთისკი—დოლგორუკოვის თავჯდომარეობით შესდგა კრება თბილისის ქალაქის ჯარში გასაწვევთა ვადის გადამდებ კომიტეტისა. კრებას მოხსენდა 12 თხოვნა სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავეთა, რომელნიც სახელმწიფოს დაცვას ემსახურებიან. კრებამ განიხილვ ეს თხოვნები და 131 კაციდან 60 კაცს მისცა შეღავათი 1917 წ. 1 იანვრამდე. სხვათა შორის განხილულ იქნა თბ. რუსულ გაზეთების შუამდგომლობა—შეღავათის შესახებ. კრებამ ჯარში გაწვევის ვადა გაუგძელა „კავ. სლოვოდან“ 3 კაცს, „ლისტოკიდან“ 1 კაცს, „რეჩიდან“ 1 კაცს, „კავკაზიდან“ 2 კაცს და „რუსკ. სლოვოს“ თბ. განყოფილებიდან 1 კაცს. ქართულ გაზეთების შუამდგომლობანი ჯერ არ განუხილავს კომიტეტს. გაზეთის ასოთ-ამწყობნი თითქმის ყველანი გაანთავისუფლეს.

— ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას ხარჯების გასაძღოლად ფული აღარ გააჩნია და ავანსად ითხოვა მომავალ ნახევარი წლის ხარჯთა-აღრიცხვის ანგარიშში 4 მილიონი მანეთი შუამდგომლობისათვის მხარის დასაჭერად განყოფილებამ მიმართა მის უმაღლესობას პ. ა. ოლდენბურგის პრინცს. ქალაქთა კავშირის მთავარმა რწმუნებულმა მოსკოვის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ჩელნოკოვმა ამ შუამდგომლობის გამო ცნობები სთხოვა კავკასიის მხედრობის შტაბის უფროსს. განყოფილება დარწმუნებული იყო, რომ ამით საქმე დამთავრდებოდა, მაგრამ შტაბის უფროსს თავის მხრივ ცნობები არ გაუგზავნია და ქაღალდი გადაუცია მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწის ინფანტერიის გენერალ იანუშკევიჩისათვის.

# აგარაკი წაღვერი.

ვინ არ იცის ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც ჩავარდნილია ჩვენი კურთხეული და უხვი ბუნებით დაჯილდოებული ქვეყანა, მაგრამ იძულებული ვართ გაზეთის ფურცლებზე ძველი რამ ვიმეოროთ სანამ ჩვენს საკუთარ თავისა და მდგომარეობის შეუგნებლობას ბოლო არ მოეღება. დადგება კი ნეტაი როდისმე დრო, რომ ჩვენი ქვეყნის სიმდიდის რაციონალური დამუშავება დაიწყოს?

საქართველოს რომელი კუთხე არ გნებავთ აიღოთ, რომ იქ თავისებური სილამაზე და ელფერი არ იყოს. მეტსაც ვიტყვი მთელი საქართველო ერთი მთლიანი ბაღი, მთლიანი აგარაკია — მაგრამ განა ბუნების სიუხვე მავნეშელ ძალად უნდა გადავაქციოთ, რომელმაც თვითმოქმედების ნიჭი უნდა მოგვიკლას და გულზე ხელები დაგვაკრეფიოს?

საქართველოს რომელი კუთხე არ გინდათ ნახოთ, რომ იქ არ შეგვხდეს რამდენიმე ალაგი მაინც-მდიდარი ზოგი სამკურნალო წყლით, ტალახით, ჰავით თუ სხვა რითიმე. მაგრამ საქართველოს აგარაკების უმეტესობა მოკლებულია აგარაკის ოფიციალურს სახელს და მისი მფლობელები გაუმჯობესობაზე ძლიერ ცოტას ზრუნავენ იმ დროს, როცა პატრონებს შეეძლოთ დიდი დოვლათი დაეტრიალებიათ, და მოაგარაკეთათვის სასიამოვნო აგარაკი დაეხვედრებიათ. რა აიღეთ თუნდაც ბორჯომის ხეობის ბუნებრივი სიმდიდრემ რაღაც სამოცი ვერსის მანძილზე გვხვდება ასეთი ადგილები: როგორიცაა სურამი, ბორჯომი, წაღვერი, ცემი და ბაკურიანი ისე რომ ერთი არაა მეორეზე დიდი მანძილით დაშორებული. ამასთანავე მათზე გადის კოპწია და პატარა რკინის გზა.

რუსეთის არისტოკრატია და შეძლებული ნაწილი, რომელიც საზღვარგარეთის აგარაკებს იყო დაჩვეული, უგზოობისა გამო უახლოეს ადგილებით დაკმაყოფილდა და კავკასიის კურორტებს მიაშურა. მკითხველი იცნობდეს იქნება კორესპონდენტებს რუსულ გაზეთებში რომელთა ავტორები ასწერენ დაგვიანებულ მოაგარაკეთა გაჭივრებულ მდგომარეობას, უბინობის გამო. არა ნაკლებ ძნელი საშოვარი გახდა ბინა ჩვენს საქართველოს აგარაკებში როგორც ამას კორესპონდენტებიც ადასტურებენ კერძოთ კი სურამსა, ბორჯომსა წაღვერსა ცემსა და ბაკურიანში მოაგარაკეთა რიცხვი ძალიან დიდია. ჩვენ აგარაკებს ქართველობიდან განსაკუთრებით საშუალო შეძლების ნაწილი იჭერს სწორედ ამ წრიდან გამოდის ინტელიგენციის მეტი ძალა მაგრამ ეს ადგილები არც საშვალოზე ნაკლებ შეძლების პირთათვის არის მიუწვდომელი ცოტა შეღავათიანი პირობები თუ შეხვდა.

ამ ადგილებში ქალაქის ღრიანცელსა და აბობოქრებულ, ნერვებ დაჭიმულ ცხოვრების გამოქცეულ ადამიანს შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა და საკმაო ძალა მოეკრიფა წინამდებარე მუშაობისათვის აგარაკის პირობები რომ სათანადოთ იყოს მოწყობილი, მაგრამ იქ ბევრი რამ არა თუ ისე არ არის, როგორც კერძოდ ქართველთათვის იქნებოდა სასურველი, მაგრამ ბევრი რამ ისეთიც აკლია, რაც ყველასათვის აუცილებელს მოვლენას წარმოადგენდა.

მიუხედავათ ამისა ამ აგარაკებს გაცილებით მეტი კულტურული ელფერი ადევთ, ვიდრე რომელიმე ჩვენებურს აგარაკს. ის მაინც რად ღირს, რომ ჩვენს ჩვეულებრივ უგზოობისა და წვა-დაგვას აცილებული ხარ და ადამიანურად შეგიძლია მიხვიდე და დამოკიდებულება იქონიო შენს გარემოსთან. ჩვენ კი ჩვენს აგარაკებში ფოშტაც კი არ გაგვაჩნია სხვა მეტ მოთხოვნილებას რომ არ გამოვეკიდოთ.

ჩვენ მიერ ზემოდ დასახელებული აგარაკები მთავრობის საკუთრებაა. ამ ადგილებში ადგილობრივი გლეხები, იჯარით იღებენ მიწას, რომლისთვის მცირედი გადასახადი უნდა გაიღონ. ისინი სარგებლობენ ბინის გაქირავებით განსაზღვრულ დროით, რომლის შემდეგ მიწა აგარაკიანათ (სახლიანად) უბრუნდება მთავრობას. აქაური ადგილები იყოფა სატყისმცველოდ. (ЛѢСНИЧЕСТВО) ამ აგარაკების მეტი რიცხვი ახალი მოწყობილია. ცოტ ცოტათი ყოველ წელს აუმჯობესებენ-ოღონდ წელს შარშანდელთან შედარებით საქმეს შეჩერება ეტყობა. როგორცა სჩანს ვერც ახლანდელი მთავრობა კისრულობს ამ აგარაკებით სარგებლობას და როგორც ხმები დადის, აპირობენ უცხოელებს გადასცენ იჯარით, ასე რომ მომავალში თუ უფრო გავუშვებთ ხელს, თორემ დაბრუნება დღევანდელს ჩვენი ცხოვრების პირობებში ძნელი დასაჯერებელია.

ჩვენს აზრს ისიც ადასტურებს, რომ უცხო ელემენტი ახლავე სჭარბობს ქართველობას. მაგრამ უბედურებას შეჩვეულ გულს, როგორც ის დღესაც აქვს ქართველს, სრული მოდუნებაც შეძლებია.

კერძოდ წაღვერში ქართველები არსად არ ცდილობენ თავისი კვალი დააჩინონ და აქაც მათი უპირატესობის მიმნიჭებელი არა არის რა. მათ შეეძლოთისე მოეწყოთ საქმე, რომ ჰქონოდათ ზოგი კულტურული დაწესებულება და იქ რიგიანი მუშაობა ეწარმოებიათ ყოველ წლივ; ამას ვერ ვხედავთ. იმართება უმეტეს შემთხვევაში რუსული წარმოდგენა—საღამოები. ქართული მხოლოდ ფორმისათვის, და თუ რომელიმე მსახიობი მიიღებს მოწყალებას და გამართავს რასმე-თვარა საზოგადოება იძულებულია ყველაფერზე იაროს. სამკითხველო წელს რაღაც მიზეზის გამო არაა, წიგნთსაცავი კი არასოდეს არ ყოფილა. კერძო პირები აქირავებენ წიგნებს-რასაკვირველია რუსულს, ქართული წიგნი კი სანთლითაა საძებარი. უეჭველია, თუ აქაურობა არ უწყობს ხელს ქართველს, არც მას უსურვია მდგომარეობის თვის და სასარგებლოდ, შეცვლა შეხვდა რომლის სანაცვლოს ზღვას კიდეც მალე!

ვ. გგრისული.

# ჩემი განმარტება.

(წერილი რედაქციის მიმართ)

მ. ხ. ბ რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ თქვენი გაზეთის ახლობელ ნუმერში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს ჭეშმარიტების აღსადგენათ.

გაზ. „სამშობლო“-ს № 405 მოთავსებული ბ. ვლ. გუბელაძის: „ჩემი პასუხი უმწიკვლოებს„ სადაც ავტორი სხვათა შორის-ცილსა მწამებს და „მიმტკიცებს“ პატივცემულ მკითხველ საზოგადოების წინაშე „აფერისტობას“. ეს ბრალდება ჩემთვის ახალი არის: სწორედ ამის გამო იყო, რომ ხარკოვის ქართულ სათვისტომოს გამგეობის წევრობას მე დროებით თავი დავანებე და ვლ. გუბელაძეს შუა კაცები მიუგზავნე (ამხ. ღლონტი და იაშვილი) და ვთხოვე სამედიატორო სამართალში გიმომყოლოდა. მაგრამ ბ. გუბელაძე სამართალს გაექცა და შუა კაცები უშვერი ჩემდამი ლანძღვა-გინებით გამოისტუმრა, რომ ეს უტყუარი ფაქტია ამას ამტკიცებს ამხ. ღლონტისა და იაშვილის წერილებით (სიტყვიერიც) განცხადება, რომელიც ინახება სხვა საბუთებთან ერთად ამხ. ალ. ჭირაქაძესთან (სათვისტომოს გამგ. მდივანი და მოლარეა). მივიღე რა ასეთი „პასუხი“ ბ. გუბელაძისგან, მე სრულებით სინიდის დამშვიდებულს შეძლება მომეცა კვლავ დავბრუნებოდი გამგეობას და ბ. გუბელაძეს ისიც არა აქვს შეგნებული რომ თავის საქციელით და „დოკუმენტის“ გამოქვეყნებით ბ. ნირენბერგსაც მახეს უგებს.

იგი არაფერს ზოგავს ოღონდ კი გამაშავოს ქართ. საზოგადოების წინაშე, მაგრამ იგი ამას ვერ მესძლებს. ნუ თუ ქართ. საზოგადოებისთვის გუბელაძის სიტყვა უფრო მეტი დასაჯერებელია, ვინემ ჩვენი სათვისტომოსა და მის წარმომადგენლების?!

ჩემი ღრმა რწმენით არა და ამიტომ შემიძლია სრულებით არავითარი ყურადღება არ მივაქციო ა. გუბელაძეს შემდეგში მაინც განმეგრძო საყვარელი საქმე ..

ვიკითხოთ ახლა; რა იყო მიზეზი რომ ბ. გუბელაძე არ გამომყვა სამართალში? ის რომ მას არავითარი ხეირიანი საბუთი რომლის მიხედვით შეიძლებდა ჩემს გამტყუნებას, არ გააჩნდა და არც გააჩნია როგორ თუ არ გააჩნია? აბა რაა.

გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული (რუსულათ დაწერილი იხ. „სამშობლო“ №405) დოკუმენტი?! შეიძლება იკითხოს ნამდვილ საქმის ვითარებასთან გაუცნობელმა მკითხველმა. რა არის და აშკარა სიყალბე, თორემ ის რომ მართალი დოკუმენტი იყოს ბ. გუბელაძე არ გაექცევოდა სამართალს).

იქნებ მარტო ჩემთან იყალბა ბ. გუბელაძემ? არა სანამ მე გამიგებდა ამხ. ავალიანს ცილი დასწამა: სათვისტომოს ფული გაფლანგაო და საშინელი კორიანტელი ააყენა სათვისტომოს გარეშემო[1]) და ორგანიზაციის საქმეებს ზიანი მიაყენა, მისი ნორმალური მუშაობა შეაფერხა. დაინტერესდა სათვისტომოს წევრებიც და აირჩიეს რწმუნებულები ბრალდების გამოსარკვევათ. მერე იცი მკითხველო რა გამოირკვა? ის რომ ამხ. კალოიანს პირნათლად აუსურლებია თავისი მოვალეობა და ბ გუბელაძეს კი მის და სამარცხვინოთ ჭორი შეუთხზავს და მოუნდომებია რაღაც ბნელი მიზანით ამხანაგის გაშვება.

მე სრულებით არ ვკისრულობ ვექილობა გავუწიო კალოიანსა და სხვა ამხანაგებს რომელებსაც ბ. გუბელაძე დიდის რიხით აფრთხილებს თავის „დოკუმენტიან“ წერილში და ურჩევს შეცდომების გამოსწორებას სეკტემბრის დამლევამდის, თორემ იმათაც გამოამჟღავნებს...

არა, ისინი თვითონ გასცემენ პასუხს თუ საჭიროდ დაინახეს, მე კი ფაქტს აღვნიშნავ რათა დავანახო ბ. გუბელაძის ფიზიონომია ჩვენ საზოგადოებას. იმ გუბელაძის, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა ხარკოვის ქართულ სათვისტომოში ცილის მწამებლის სახელი და რომელიც ახლა გამობძანებულიცაა იქიდან.[2]) დიაღ, მშვენიერად იციან ამხანაგებმა თუ ვინ ბრძანდება გუბელაძე და იმიტომაც იყო თავის დროზე გააფრთხილეს ქართული პრესა რათა გუბელაძეს არ გამოეყენებია იგი ბოროტი განძრახვებისთვის (იხ. ამხ. ვ ეგნატაშვილისა და ა. ჭირაქაძის პაწია წერილი: „სახალხო ფურცელსა“... №579 და „ჩ. მეგობარში“ №62.

რაც შეეხება იმას, რომ მე ფულს ვღებულობდი სხვა და სხვა დაწესებულებიდგან და პირისაგან, მართალია; გასულ წელს მე თვიურათ 45 მ. სალსარი მქონდა და ზნეობრივ უფლებას ვაძლევ ჩემ თავს რათა წელსაც მეტი თუ არა ნაკლები არ მექნეს და საშვალება არ წამერთვას, განვაგრძო ჩემი პირდაპირი დანიშნულება და შეძლებისა და გვარათ საყვარელ ამხანაგების საქმესაც ვემსახურო. თუ სამართლიანობათ არ მიაჩნია ბ. გუბელაძის ჩემი რა ბრალია?.. ალბად შენც ჩაგიდენია რაღაც დანაშაულობას? მეტყვის იჭვიანი მკითხველი.

ეს იმიტომ, რომ ძალიან კარგად მატყობდა გუბელაძე, თუ როგორ აღშფოთებული ვიყავი მისი სამარცხვინო საქციელით (როდესაც კალოიანს ცილს სწამებდა) და ღობე ყორეს მოდებით მოისურვა ჩემი გაჩუმება, მაგრამ დამარცხდა ჩვენს სათვისტომოში და იმ რწმენით, რომ ქართ. საზოგადოებაშიაც მაგისთანა ბედი ეწვევა, მე ვათავებ ჩემს წერილს.

ხარკოვის ქართ. სათვ. გამგ. თავმჯდომარის ამხანაგი. გრ. პატარაია.

1 მომავალი სეკტემბრიდანაც მოუსურვებია ბ. გუბელაძის არევ-დარევა შეიტანოს სათვისტომოში, მაგრამ ყური არავინ ათხოვოს.

2 სათვისტომოდან.

# გაზ. „სამშობლოს“ კანტორა

პატივისცემით მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერთ, დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა, უკიდურეს შემთხვევაში აგვისტოს პირველიდან მათ გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

# რუსეთი.

მთავრობა აპირებს ახალ საშინაო სესხის გამოცემას და ყოველგვარ ღონისძიებას იღებს, რათა ხალხი მეტის ნდობით მოეპყრას სესხს.

—

უწმ. სინოდის მახლობელ სხდომაზე განხილულ იქნება საქართველოს ავტოკეფალიის საკითხი სინოდის უმრავლესობა ავტოკეფალიის წინააღმდეგია, მაგრამ რადგანაც შემოერთებული ოსმალეთის მიწა-წყლის საგრძნობი ნაწილი ქართველებითაა დასახლებული, სინოდის უმრავლესობა დათმობს და მეტის ყურადღებით მოეკიდება ავტოკეფალიის საკითხს.

—

ცნობილი პურიშკევიჩი მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგის თანამდებობაზე მოუწვევიათ, მაგრამ მას მტკიცე უარი უთქვამს.

## პატარა ფელეტონი.

### ზ ღ ა პ ა რ ი ტ ყ ე შ ი.

მახსოვს, ყმაწვილობისას, ზაფხულის არდადეგები ჩემთვის ყველაფერი იყო. ხშირად საავარაკოთ სოფლად მივდიოდი მაშინ მთელ დღეებს, მდინარის პირათ, ნაძვნარში გაშლილ საწოლ ბადეში ვატარებდი.

მხიარული ვიყავ მით, რომ მდინარის იდუმალი რაკრაკი, ტყის შრიალი და ცელქი სიო დაუსრულებელ ზღაპარს მიამბობდენ და ხშირად ბუნების სიმშვენიერით დამტკბარი, იქვე ვისვენებდი.

ერთხელ, ასეთ დასვენების დროს ჩამეძინა და უცნაური სიზმარი ვნახე.

— ვნახე, რომ არე მარე წყვდიადმა მოიცვა, ასტყდა საშინელი ელვა ქუხილი, ქარიშხალის სიძლიერისგან ხეებს კვნესა გაჰქონდათ, მდინარემ თავისი გიჟური გამოძახილი ბუნების ასეთ სიმკაცრეს შეუერთა და მთელი მიდამო ჯოჯოხეთათ გადაიქცა. შიშის ზარმა მთლათ ამწუწა.

თავზარ დამცემმა წუთებმა, არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანეს, მხოლოდ შევამჩნიე, რომ ბუნების მრისხანებამ თანდათან იკლო და ბოლოს საუცხოვო დარი დადგა.

შეწუხებულ არე-მარეს ბუნების სიმშვენიერე კვლავ სიტკბოებით მიესალმა.

თვალები გავახილე და განცვიფრებული დავრჩი; ჩემს პირდაპირ, მდინარის გაღმა საუცხოვო ტანის ასული იდგა, რომელსაც თეთრი გამჭვირვალე ტანისამოსი ემოსა, და მისი მოცინარე შავგრემანი პირისახე, მიყვალივით შავი სხივოსანი თვალები და გაშლილი გიშრის ფერი თმები მის სიმშვენიერეს აორკეცებდენ და თითქოს მის სილამაზის უზენაესობას მოწმობდენ.

ის ჩემს ახლოს გაჩდა... მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა და ღიმილით გადმომხედა. მერე ბადეზე ჩამოჯდა და ალერსი დამიწყო.

განცვიფრებულმა პასუხი ვერ მივე.

მან დაღონებით შემომხედა და მერმე ტყისკენ გაექანა და მიიმალა.

გაოცებულს სიზმარი სინამდვილედ მეჩვენებოდა და სიამოვნება განცდისა არ მასვენებდა...

ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი, რომ მტრედი მოფრინდა ჩემს სიახლოვეს დაჯდა და უცდიდა, როდის შევხსნიდი ყელზე შებმულ ბარათს.

ცნობის მოყვარეობამ შემიპყრო, მტრედს ბარათი შევხსენი და კითხვას შევუდექი.

მტრედი გაფრინდა. ბარათში შემდეგი ეწერა:

„კეთილო უცნობო"!

„თქვენ ოცნებობდით, სიყვარულს ნატრობდით და ხშირად მე მესაიდუმლეებოდით. ჩვენ შორის უხილავი ძაფი სიყვარულისა იყო გაბმული. ჩვენ, რომლებიც სინამდვილეში ერთხელაც არ შევხვედრივართ ერთმანეთს-ერთმანეთი შევიყვარეთ და მე, რომელზედაც თქვენ დღეებით ფიქრობდით, თქვენთან პირველი მოვედი. ტკბილი ზღაპრით სიყვარულის საიდუმლოება გაითხარით, მაგრამ თქვენ პასუხი არ გამეცით და ჩემს გულში ანთებული ლამპარი სიყვარულისა ჩააქრეთ.

ჩვენ ვიყავით ბედნიერი... ბედნიერი მით, რომ ოცნებაში მაინც ვნახეთ ერთმანეთი, მაგრამ მიღალატეთ.. ოცნების სიტკბოება ვერ გაამართლეთ და ვინ იცის ჩვენ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს თუ ვერა?"

ბარათი უსახელო იყო

სად ვიყავი, არ ვიცოდი. მთვარიანი ღამე იყო მდინარე ალერსიანად შხმუოდა, ფოთლების შრიალში მკაფიოდ მოისმოდა უცხო ფრინველის სტვენა. იგი, ვინც სიზმარში მომეჩვენა ცხადლივ ვერ ვნახე ტყისკენ წავედი მის საძებრად, მაგრამ ვერც იქ ვნახე და მას შემდეგ ვინც კი შემხვდა მან ვერ მიამბო ტყის ასულივით ლამაზი ზღაპარი სიყვარულისა.

ვასო შიოშვ.

## პროვინციის ცხოვრება.

**ოზურგეთი** არსებულ ეკონომიურ პირობებს თანამედროვე მასსა ვერ ურიგდება-მეტადრე როცა სპეკულიანტთა თარეშმა უმაღლესს წერტილამდის მიაღწია. ეკონომიურ კრიზისში ხალხი სუსტია, ეკონომიურად დაუძლურებული და დაქსაქსულია; მაგრამ შეგნებულებმა სპეკულიანტთა ბრჭყალებისაგან დასახსნელად და მისგან განთავისუფლება შეკავშირებაში სცნეს — რისთვისაც შეერთდენ თითქმის მთელი გურიის კოოპ. და „პარკის"-ის გახმობა იკისრეს, რითაც აიცდინეს გესლიანი კლანჭები ოზურ. ზოგიერთი ჩარჩებისა.

ძლიერ კარგი იქნება, რომ ასეთს კავშირს ეხლა, თხილის გაყიდვის დროსაც შეადგენდენ.

მეორე დღეს მაზრის უფროსმა ჩერნოვმა, დაიბარა ვაჭრები და გამოუცხადა, რათა მათ დაკლებულ ფასებში გაჰყიდონ საქონელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელ „პოგრომში" ის არავითარ პასუხს არ აგებს — რამაც აიძულა ზოგი მათგანი საჯარო ვაჭრობა გამოეცხადებინა.

ერთ-ერთცნობილმა სპეკულიანტმა მეორე დღესვე შაქარი 55 კაპ. გაჰყიდა გირვანქა, რისთვისაც მაზრის უფროსმა მისს ნოქარს — (ფაქტიურ გამყიდველს) ოქმი შეუყენა და ქუთაისის გუბ. წარუდგინა, რის შემდეგაც ამავე მაზრის უფროსის განკარგულებით ქალაქის თვითმართველობამ შაქარი ვაჭრებიდან მოაგროვეს 20 კაპ. კვალობაზე გირვანქა და ამავე ფასში 20-21 მკათათვეს მიაწოდეს ხალხს.

აი, პატარა, მაგრამ ძლიერ შინაარსიანი ფაქტიური ნიმუში ოზუ.რ სპეკულიანტთა თარეშისა, რომელიც სავსებით ახასიათებს მათ მოღვაწეობას.

ბევრ სპე-

ა. ქალაქტიკო.

## უკანასკნელი პასუხი ბ-ნ გ. იმნაიშვილს.*)

მეც საჭიროდ დავინახე რაკი ბ-ნი იმნაიშვილი თავისას არ იშლის, უკანასკნელი პასუხი გავსცე სწორედ სიმართლის აღსადგენად.

იმნაიშვილის წერილი გვიან წავიკითხე, რადგანაც თითქმის ერთი თვეა ისეთს სოფელში მომიხვდა ყოფნა, სადაც ჟურნალ გაზეთების შაშანებაც არ იყო.

ბ-ნი იმნაიშვილი აუწყებს მკითხველებს, რომ იმ სხდომაზე, როცა „р. с." I ნაწ. შესწორება მოხდა, ყველა სექციის წევრები იყვნენო და მათ შორის დასახელებულია თავმჯდომარის ამხანაგი ივ. ზურაბიშვილი, რომელიც სრულიად არ დასწრებია. ეს კრება მომხდარა არა ჩვეულებრივად 1 თებერვალს, დასწრებია ოთხი წევრი, იმათ დაუდგენიათ: „რუსკოე სლოვოს" პირველი ნაწილი შესწორებული იქნა 33—58 გვერდამდე დაგვიდა კორექტორს შესწორებული დაბეჭდოს. ხელს აწერს ოთხი წევრი. იქვე შენიშვნაა: „ეს წიგნი უკვე იბეჭდება და ორი ფორმა უკვე დაბეჭდილიაო". უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დროს ერთი ცალი „р. с." არ მოიპოვებოდა გასასყიდად მაღაზიაში, მოთხოვნილება კი დიდი იყო. სექციას უფლება არ ჰქონდა გამგეობის დაუკითხავად და მოუწოდებლად რაიმე ცვლილება შეეტანათ წიგნში, ნასწორებიც მეტად უხეირო იყო, რაც დავამტკიცე კიდეც, წიგნის გამოცემაც გვიანდებოდა და ასეთ დროს სწორება წიგნისა საქმის შემაფერხებელი იყო და ამიტომ საჭიროდ და უდროოდ დავინახე ახდანდელ გამოცემისათვის განზრახული შესწორებანი... ამას მოითხოვდა საქმის ინტერესი, მეც ასე მოვიქეცი. სწორედ ამან გააწიწმატა ბ-ნი იმნაიშვილი. შესდგა კომისია და საპოდემიკოთ გამომიწვიეს, რაშიაც ძვირფას დროს მართმევენ, თუ ჩემის ასეთის საქციელით საქმეს რაიმე ზარალი მოუვიდა, ამას ჩემის თხოვნით მალე გამოარკვევს მთავარი გამგეობა, რომელსაც კომისია ჰყავს ამ საქმის გამოარჩეული და იმედია მალე ნათელი მოჰფენს იმ აურზაურს, რომელიც ასტეხეს ბ-მა ვ. ჯაიანიძემ და მისმა დამქაშმა გ. იმნაიშვილმა „р. с." I ნაწ. შესახებ.

ბ-ნი იმნაიშვილი ყოველ საქმეში სიტყვით ბარაქალობს, მაგრამ ჯერი რომ საქმეზე მიდგა, იქ კი არაფერობს. განა იმნაიშვილმა და სხვებმაც არ იციან, რომ მე გულწრფელად ვსთხოვდი ყველას შემუშავებული გეგმის მიხედვით შეესწორებინათ როგორც მე შევასწორე „Рус. сл." ორივე ნაწილი და წარმოედგინათ სექციაში განსახილველად „დედა ენის" I ნაწ. და არა „უფრო გაცდებ", რასაც ბ-ნი იმნაიშვილი ბრძანებს განა იქვე არ ვასახელებდი მიზეზს თუ რა გარემოება მიშლიდა ხელს დამშვიდებით მუშაობაში, მაგრამ არა გამოდის რა. „დუარსაბმა მონაწილეობა არ მიიღო შრომის განაწილებაშიო, ბრძანებს ბ-ნი გერასიმე, ჩვენც წავედ-წამოვედით და წიგნი დღესაც შეუსწორებელიაო („სამშობლო" № 390). ნეტავ დუარსაბზე ყოფილა საქმე რომელიც თურმე არაფერს აკეთებს, იმნაიშვილის სიტყვით, სექციაში და ამ დუარსაბმაც შესწორებული „დედა-ენა" მიუხედავად იმისა, რომ მრავალი გარემოება ხელს უშლიდა მუშაობაში უკვე წარუდგინა სადაც რიგი იყო, მოიწონეს, როგორც სექციაში, ისე გამგეობაში და უკვე იბეჭდება, ამიტომ ბ-ნი გერასიმეს სიტყვები, „წიგნი დღესაც შეუსწორებელიაო" ხალასი სიცრუეა.

საქმე ის არის, რომ ბ-ნი იმნაიშვილი ყოველთვის ისეთს რასმე თხოულობდა წიგნების გასწორების დროს, რომელსაც ყველა სხვა წევრი სექციისა ეწინააღმდეგებოდა ე. ი. საზოგადო, საერთო გეგმის შედგენის შემდეგ წევრებს საჭიროდ მიაჩნდათ დეტალურად დამუშავება, რედაქცია და მასალის არჩევა დაევალება ერთს ვისმე ეგისრა და შემდეგ ასეთი ნამუშევარი განხილული ყოფილიყო სექციაში, დამზადებელი დასაბეჭდად და წარდგენილი გამგეობაში კიდევ განსახილველად და დასაბეჭდად დასამტკიცებლათ. ამას ეწინააღმდეგებოდა მუდამ იმნაიშვილი და მოითხოვდა ყველაფრის ერთად კეთებას, ავიწყდებოდა, რომ როცა ერთის ნაშრომს ყველანი განიხილავდნენ და დასაბუთებულს აზრსაც მოისმენდენ შევსება შესწორებას შეიტანდენ ნამუშევარში იგივე საერთო მუშაობა იყო. ბ-ნი იმნაიშვილის სამწუხაროდ სწორედ 11 ივნისის სხდომაზე, მასწავლებელთა ურილობამ ასეთი წესი მიიღო სახელმძღვანელოების შესწორებისათვის.

ბ-ნი გ. იმნაიშვილი დიდს გულ უბრყვილობას იჩენს და მასთან დიდს პროვოკაციასაც ეწევა იგი ეხება ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის ზუგდიდის განყოფილების თხოვნას 1670 მანეთის მიცემის შესახებ ზუგდიდში კურსების მოსაწყობად. ცხადია, თუ სექცია ამ ხარჯს გასწევდა, იგი უნდა დაეფარა მოუდლოდნელის ხარჯებიდან, რადგანაც სხვას ყველას დანიშნულება ჰქონდა. სექციის მოუდლოდნელს ხარჯს კი წლის განმავლობაში 270 მანეთი შეადგენდა და ამაში შედიოდა მასწავლებელთა საგზაოც. ყველასთვის ცხადი იყო, 270 მანეთიდან 1670 მანეთის აღება ყოვლად შეუძლებელი იყო, ეს სექციის წევრთა მეჯლიდობიდანაც სჩანდა, რომ ყველა წინააღმდეგი იყო უსახსრობის გამო სექციას ეს ხარჯი გაეწია, ამიტომ რადა საჭირო იყო ხმის ხმოსტარება. ამიტომ ოქმში ჩაიწერა: „ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის ზუგდიდის განყოფილების შუამდგომლობის დაკმაყოფილება ამ ჟამად, უსახსრობის გამო, სექციას შეუძლებლად მიაჩნია". იქვე დაისვა მეორე საკითხი იქნებ გამგეობამ გამოსძებნოს რამე სახსარი და დაეხმაროს რითიმე ზუგდიდის განყოფილებასო. ამ საკითხს ასეთი დადგენილობა მოჰყვა „თუმცა სექციას სასურველად მიაჩნია თუ კი რამე სახსარს გამოსძებნის გამგეობა, დახმარება გაუწიოს ზუგდიდის მასწავლებელთა კავშირის განყოფილებას" (ოქმი 21 აპრ.) სად არის აქ ბ-ნ იმნაიშვილის მიერ მოყვანილი და ფრჩხილებში ჩასმული ცივი „უარი ვუთქვას" თითქოს ოქმიდან ამოწერილი იყოს. ან რა საკადრისია ოქმიდან მოჰყავდეს ვისმე სიტყვები დამახინჯებით. მაგრამ ეს თქმა იმნაიშვილს იმიტომ დასჭირდა, რომ ვითომც თქვენი უმორჩილესი მონა მასწავლებელთა კავშირს უსამართლოდ მოექცა და თანაგრძნობა არ გამოიჩინა იმნაიშვილის მეტმა ეს პროვოკაციაა ბ-ნ იმნაიშვილს ფონში გასავლელად დასჭირდა, სხვისი სახელის გასატეხად და თავისი სახელის გასადიდებლად, მაგრამ, სამწუხაროდ იმავე ფონში იხრჩობა. თუნდაც ისე ყოფილიყო, როგორც ბ-ნი იმნაიშვილი ბრძანებს, რა ზნეობრივი უფლება ჰქონდა მას როგორც კოლეგიის წევრს, კერძო აზრი წევრებთა ან თავმჯდომარისა საჯაროდ გამოეტანა და ეთქვა: მე კი არა, ამან და ამან გითხრა უარიო. ასე უკლებად სარგებლობს ყველაფერს ბ- ნი იმნაიშვილი.

დ. ბოცვაძე.

(შემდეგი იქნება.)

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ისეთივე შესწორებით, როგორც შევასწორეთ ბ-ნ იმნაიშვილის წერილიც. (ე. ი. ზედმეტ მაგარ ეპიტეტების გამოკლებით.)

რედ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 „ |
| „ | — „ | — 9 ს. 04 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| „ | — დღით | — 3 ს, 14 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | 5 ს. 20 „ |


# ს უ ს უ ნ ა ტ ი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი „**გონოზანით**". ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია**: თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უებარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул , № 12 отд. 1

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილად გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)